

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„სავაჭრო ცენტრი 2009“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი

აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. ბათუმი

2022

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავაჭრო ცენტრი 2009“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	4
მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	10-23
 შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	11
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....	11
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა	12
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	17
შენიშვნა 5. ძირითადი საშუალებები	19
შენიშვნა 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
შენიშვნა 7. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....	20
შენიშვნა 8. მარაგები.....	20
შენიშვნა 9. სხვა მიმდინარე აქტივები.....	20
შენიშვნა 10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
შენიშვნა 11. საიჯარო შემოსავლები.....	20
შენიშვნა 12. ქონების ექსპლუატაციის ხარჯები.....	21
შენიშვნა 13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
შენიშვნა 14. სხვა ხარჯები.....	21
შენიშვნა 15. საწესდებო კაპიტალი	21
შენიშვნა 16. ფინანსური რისკის მართვა	22
შენიშვნა 17. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები	23
შენიშვნა 18. საგადასახადო კანონმდებლობა	23
შენიშვნა 19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის.....	23
შენიშვნა 21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	23

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავაჭრო ცენტრი 2009“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 9 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად მელიქაძე

დირექტორი

2022 წლის 9 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ს პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩაატარეთ შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, გარდა ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენისა შესაბამის ციფრებზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითად საშუალებებზე კლასიფიცირებული 5,000,684 ლარის არსებული ნაშთიდან, 4,869,345 ლარის მიწის და შენობა ნაგებობები რომლებიც გამოიწვევს საიჯარო შემოსავლების მისაღებად და აკმაყოფილებენ სინვესტიციო ქონებად აღიარებულ კრიტერიუმებს, სრულად კლასიფიცირებულია ძირითად საშუალებებად.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსის) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუდიტებული საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 26 ივლისს გასცა პირობითი მოსაზრება.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 6 თებერვლის ბრძანება N 01-01-3/55-ის დანართი N1-ის შესაბამისად შედგენილ ანგარიშგებას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ანგარიშგებას და გავნიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუდიტებული იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას, დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასეების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომზარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას. ასეების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიზრულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოვადგენს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდფიფირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გაგვლენით შეიძლება შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ს უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნაგანმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ს ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა ინფორმაციაში ასახულ მონაცემებზე.

ჩვენი აზრით, აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2021 წლის სხვა ინფორმაცია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 6 თებერვლის ბრძანება N 01-01-3/55-ის დანართი N1-ის შესაბამისად შედგენილი ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ანგარიშგებაში მოცემული თანხობრივი ინფორმაცია, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- შეიცავს იმ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 6 თებერვლის ბრძანება N 01-01-3/55-ის დანართი N1-ის შესაბამისად.

შპს „ინტელექტ-აუდიტის“ სახელით (რეგ. №SARAS-F-583489)

გარიგების პარტნიორი, აუდიტორი

ივანე გაჩეჩილაძე (რეგ. № SARAS-A-516713)

9 სექტემბერი 2022 წელი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავაჭრო ცენტრი 2009“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	5,000,684	5,031,225
არამატერიალური აქტივები	5	3,750	3,750
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,004,434	5,034,975
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	466,626	662,921
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	414,387	734,025
მარაგები	8	18,193	27,189
სხვა მიმდინარე აქტივები	9	42,600	32,517
სულ მიმდინარე აქტივები		941,806	1,456,653
სულ აქტივები		5,946,240	6,491,628
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,826,069	3,826,069
გაუნაწილებელი მოგება		1,322,247	411,646
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		692,752	692,752
სულ კაპიტალი	15	5,841,068	4,930,467
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	74,016	40,331
გადასახდელი დივიდენდი		-	1,507,175
საგადასახადო ვალდებულებები		31,156	13,654
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		105,172	1,561,160
მთლიანი ვალდებულებები		105,172	1,561,160
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		5,946,240	6,491,628

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად მელიქაძე

დირექტორი

2022 წლის 9 სექტემბერი
 ბათუმი, საქართველო



ზაზა კუჭუხიძე

ბუღალტერი

(Handwritten signature)

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საგაჭრო ცენტრი 2009“
 მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საიჯარო შემოსავლები	11	2,444,951	1,498,077
ქონების ექსპლუატაციის ხარჯები	12	(1,412,109)	(1,077,003)
საერთო მოგება		1,032,842	421,074
სხვა შემოსავალი		5,665	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(61,481)	(66,315)
ცვეთის ხარჯი	5	(42,457)	(109,539)
სხვა ხარჯი	14	(61,437)	(20,265)
მთლიანი საოპერაციო მოგება		873,132	224,956
საკურსო მოგება ზარალი		(4,504)	(897)
საპროცენტო შემოსავალი (დებოზიტიდან)		41,973	89,016
ცვლილება მირითადი საშუალებების რეზერვში		-	98,571
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგრამდე		910,601	411,646
მოგების გადასახადი		-	-
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		910,601	411,646

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად მელიქაძე

დირექტორი

2022 წლის 9 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

ზაზა კუჭუხიძე

ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საგაჰრო ცენტრი 2009“
 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ
1 იანვარი, 2020	4,600,023	1,507,175	791,327	6,898,525
დივიდენდის გამოცხადება	-	(1,507,175)	-	(1,507,175)
მოგება წლის განმავლობაში	-	411,646	-	411,646
გადაფასების რეზერვი	-	-	(98,575)	(98,575)
საწესდებო კაპიტალი	(773,954)	-	-	
1 იანვარი, 2021	3,826,069	411,646	692,752	4,930,467
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
მოგება წლის განმავლობაში	-	910,601	-	910,601
გადაფასების რეზერვი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალი	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2021	3,826,069	1,322,247	692,752	5,841,068

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად მელიქაძე

დირექტორი

2022 წლის 9 სექტემბერი
 ბათუმი, საქართველო

ზაზა კუჭუბიძე

ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავაჭრო ცენტრი 2009“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,076,690	1,465,994
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(928,284)	(839,048)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(513,860)	(511,976)
გადახდილი გადასახადები	(686,426)	(228,691)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	948,121	(113,720)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(14,061)	(13,240)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(14,061)	(13,240)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საპროცენტო შემოსავალი (დეპოზიტიდან)	41,973	89,016
გადახდილი დივიდენდი	(1,295,671)	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,253,698)	89,016
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	(319,639)	(37,944)
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	734,025	771,970
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	414,387	734,025

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად მელიქაძე

დირექტორი

2022 წლის 9 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ზაზა კუჭუბიძე

ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავაჭრო ცენტრი 2009“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის (შემდგომში - საზოგადოება) დამფუძნებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახით (წილი 100%). საზოგადოების წესდება დამტკიცებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2009 წლის 25 ივნისის #422 ბრძანებით.

საზოგადოება გადასახადის გადასხდელად რეგისტრირებულია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რეგიონალური ცენტრის მიერ, რეგისტრაციის ნომერია 3138, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 245626835, დღგ-ის გადასხდელია 2009 წლის 27 ივლისიდან (სერტიფიკატი #096112).

საზოგადოების ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს კუთვნილი მიწისა და შენობა-ნაგებობების იჯარით გაცემით მიღებული შემოსავლები.

საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. N21.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუჯოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ზიზნეს შეზღუდვები. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნულმა ზომებმა არ შეზღუდა კომპანიის საქმიანობა, როგორც საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, ისე კომენდანტის საათის განმავლობაში, თუმცა ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე.

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად მელიქიძე

დირექტორი

2022 წლის 9 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

ზაზა კუჭუხიძე

ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საგაჭრო ცენტრი 2009“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა კომპანიაში ყველა წესებისა და რეგულაციების დაცვით. არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

შენიშვნა 3. საადრიცხო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

➤ მიმოსვლის გზები	(15%)
➤ შენობები	(5%)
➤ ნაგებობები	(5%)
➤ მრავალწლიანი ნარგავები	(15%)
➤ მანქანა-დანადგარები	(8%)
➤ ელექტროგადამცემის საშუალებები	(8%)
➤ მილსადენები	(8%)
➤ კავშირგაბმულობის საშუალებები	(8%)
➤ ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის და ავეჯის გარდა	(20%)
➤ კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	(20%)
➤ ავეჯი	(20%)
➤ ინვენტარი	(20%)
➤ სპეციალური ინსტრუმენტები	(20%)
➤ მსუბუქი ავტომობილები	(20%)
➤ სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	(15%)

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

- საიჯარო გადასახადების და საწყობის მართვის პროგრამა 15%.

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად მელიქიძე

დირექტორი

2022 წლის 9 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

ზაზა კუჭუხიძე

ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავაჭრო ცენტრი 2009“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია ფასდება თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ფულადი ანგარიშსწორება

საზოგადოებას გახსნილი აქვს მიმდინარე ანგარიში კომერციულ ბანკში, რომელიც გამოიყენება ყოველდღიური საბანკო ოპერაციებისთვის. თავისი საქმიანობიდან გამომდინარე საზოგადოებას უფლება აქვს გახსნას დამატებითი ანგარიშები, დეპოზიტები, შეიძნოს ფასიანი ქაღალდები, ისარგებლოს სხვა ფინანსური ინსტრუმენტებით, რომლებსაც სთავაზობს იგივე ბანკი ან/და სხვა კომერციული ბანკები. ამასთან საზოგადოებას კომერციული ბანკ(ებ)ი უწევს სხვადასხვა სახის საბანკო მომსახურებასაც, რომელთა არასრულ სიაში შეიძლება შედიოდეს: ფასიანი ქაღალდების ფაქტორინგი, გირაოს მართვა, მომხმარებლებისა და მიმწოდებლების სპეც-ანგარიშების მონიტორინგი, საბანკო გარანტიების განაღდება, ელექტრონული მომსახურება და სხვა. ნებისმიერი მსგავსი მომსახურების ამოქმედებისთანავე საზოგადოებას შეაქვს ფინანსური ანგარიშგებასთან დაკავშირებული შესაბამისი ცვლილებები და დამატებები სააღრიცხვო პოლიტიკაში. ბანკიდან ნაღდი ფული გამოტანა და შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბუღალტრულ სისტემაში შეტანილი გატარებების სისწორის კონტროლის მიზნით, ყოველი თვის ბოლოს ხდება საბანკო ანგარიშების საბუღალტრო ბარათების შედარება ბანკის ამონაწერთან, როგორც გასული თანხების (ხელფასი, მივლინება, კრედიტორული დავიანება, გადასახადები, გადარიცხვები), ასევე შემოსული თანხების.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად მელიქაძე

დირექტორი

2022 წლის 9 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

ზაზა კუჭუხიძე

ბუღალტერი

11-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავაჭრო ცენტრი 2009“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნებში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ამონაგების აღიარება

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყაროებია: იჯარიდან შემოსავალი და მოიჯარეებისთვის გაწეული მომსახურებიდან შემოსავალი.

შემოსავალი იჯარიდან

კომპანია შემოსავალს იღებს საოპერაციო იჯარაში მეიჯარედ მონაწილეობიდან. საინვესტიციო ქონების საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, ინდივიდუალური მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას და ხელშეკრულების გაფორმებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლისა.

შემოსავალი მომსახურების საკომისიოდან და მოიჯარეებისგან ამოღებადი ხარჯები

საინვესტიციო ქონების შემთხვევაში, რომლის ფლობის მიზანზე იჯარიდან შემოსავლის მიღებაა, კომპანია საიჯარო ხელშეკრულებას აფორმებს, როგორც მეიჯარე, რომელიც წარმოადგენს საოპერაციო იჯარას. ეს ხელშეკრულებები შეიცავს მოიჯარეებისთვის (ანუ, კლიენტებისთვის) გარკვეული მომსახურებების გაწევას, მათ შორის ადმინისტრაციული მომსახურებისა, როგორცაა დასუფთავება, დაცვა-უსაფრთხოება და სხვა. კომპანია ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად მელიქიძე

დირექტორი

2022 წლის 9 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

ზაზა კუჭუხიძე

ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საგაჭრო ცენტრი 2009“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

გაწეული მომსახურებისთვის კლიენტებს ფიქსირებულ გადასახადს უწესებს. ამგვარი მომსახურებებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე. შემოსავალი მომსახურების საკომისიოდან და სხვა მსგავსი შემოსულობა აისახება შესაბამისი თვითღირებულებების მთლიან ოდენობაში შემოსავლის ნაწილში იმდენად, რამდენადაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია ამ შემთხვევაში მოქმედებს როგორც პრინციპალი.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება და აისახება შემოსავალში.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარ გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძნად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებებზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე. როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება, თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილი თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

კაპიტალის მართვა

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, როგორც საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელს გააჩნია კაპიტალში შენატანების გამხორციელების, კაპიტალიდან ქონების ამოღების და ბალანსზე აყვანის უფლებამოსილება.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად მელიქიძე

დირექტორი

2022 წლის 9 სექტემბერი

ზათუმი, საქართველო

ზაზა კუჭუხიძე

ბუღალტერი

11-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავაჭრო ცენტრი 2009“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ზარალი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევსებულების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა „აგროსილ“ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები „აგროსილზე“ შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იხვერება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაზღვრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად მელიქიძე

დირექტორი

2022 წლის 9 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

ზაზა კუჭუხიძე

ბუღალტერი

11-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავაჭრო ცენტრი 2009“
ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახადის ჩათვლით) და გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება კონსოლიდირებულ საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე. მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც „სხვა საგადასახადო დავალიანებები, წმინდა“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საგადასახადო აღრიცხვა, აქტივები და ვალდებულებები

საზოგადოება რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად და საგადასახადო ორგანოებში წარსადგენ დეკლარაციებს ამზადებს საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. საგადასახადო აქტივები მოიცავს საზოგადოების მიერ საგადასახადო ორგანოებისათვის წინასწარ ან ზედმეტად გადახდილ გადასახადებს, რომელთა გამოყენება/დაქვითვა მოხდება მომავალში იგივე ან სხვა სახის საგადასახადო ვალდებულებების დასაფარად ან მოთხოვნილი იქნება ასანაზღაურებლად. საგადასახადო ვალდებულებები შედგება საგადასახადო ორგანოების მიმართ დარიცხული ვალდებულებების, ჯარიმებისა და საურავებისგან, რომლებიც ჯერ არ არის გადახდილი.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ოპერაციების არასრული სია მოიცავს:

- გადასახადების გატარებას საბუღალტრო სისტემაში.
- დღგ-ის რეესტრის წარმოებას.
- საბიუჯეტო ნაშთების კონტროლს.
- ჩასათვლელი თანხების განსაზღვრასა და მათი შესაბამისობის დადგენას საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან.
- საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვას.
- სხვა კანონმდებლობით მოთხოვნილ ოპერაციებს.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლათა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიაწინებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად მელიქაძე

დირექტორი
2022 წლის 9 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ზაზა კუჭუხიძე

ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავაჭრო ცენტრი 2009“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომ აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის (შენიშვნა 3) გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება მსჯელობის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა შესაფერის ფაქტორებს.

ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

შემოსავლები შემოწირულობიდან

შემოსავლები შემოწირულობიდან აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შემოწირულობის საფუძველზე. შემოსავალის აღიარება ხდება საკასო მეთოდით.

ფინანსური ღირებულება

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის კლასიფიკაცია ხდება იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი ვადის განმავლობაში. თუ შემდეგ მოიჯარე და მეიჯარე გადაწყვეტენ საიჯარო პირობების შეცვლას (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც უზრალოდ იჯარა განახლდება), აუცილებელია იჯარის კლასიფიკაციის გადახედვა. ჩვეულებრივი იჯარის დროს საზოგადოება საიჯარო გადასახდელებს ხარჯად აღიარებს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექნომსახურება) წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებას დაკავშირებულ მხარეებთან. IAS 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისთვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად მელიქიძე

დირექტორი

2022 წლის 9 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

ზაზა კუჭუხიძე

ბუღალტერი

11-23 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავაჭრო ცენტრი 2009“
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

შენიშვნა 5. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა - ნაგებობები	კავშირგაბმუ ლობის და ელექტროგად ამცემის საშუალებები	მიმოსვ ლის გზები	მანქან ა დანად გარები	ოფისის აღჭურვილო ბა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპ ორტო საშუალებ ები	ბიოლოგი ური აქტივები	არამატე რიალურ ი აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება											
დეკემბერი 31, 2019	3,881,759	1,641,837	256,375	-	6,805	14,537	94,361	3,903	9,930	3,750	5,913,257
შემოსვლა	4,410,600	552,620	5,478	37,500	-	3,033	50	-	-	-	5,009,281
გასვლა	(3,881,759)	(1,593,950)	(234,755)	-	-	-	(57,630)	-	(9,930)	-	(5,778,024)
დეკემბერი 31, 2020	4,410,600	600,507	27,097	37,500	6,805	17,570	36,782	3,903	-	3,750	5,144,514
შემოსვლა	-	-	3,445	-	-	5,505	2,966	-	-	-	11,916
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2021	4,410,600	600,507	30,542	37,500	6,805	23,075	39,748	3,903	-	3,750	5,156,430
ცვეთა და გაუფასურება											
დეკემბერი 31, 2019	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(75,518)	(12,886)	(5,625)	(544)	(3,514)	(10,671)	(781)	-	-	(109,539)
ცვეთის ამოზრუნება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასხვისებაზე	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2020	-	(75,518)	(12,886)	(5,625)	(544)	(3,514)	(10,671)	(781)	-	-	(109,539)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	(26,249)	(1,529)	(4,781)	(501)	(3,912)	(4,859)	(624)	-	-	(42,457)
ცვეთის ამოზრუნება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასხვისებაზე	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2021	-	(101,767)	(14,415)	(10,406)	(1,045)	(7,426)	(15,530)	(1,405)	-	-	(151,996)
ნარჩენი ღირებულება											
დეკემბერი 31, 2019	3,881,759	1,641,837	256,375	-	6,805	14,537	94,361	3,903	9,930	3,750	5,913,257
დეკემბერი 31, 2020	4,410,600	524,989	14,211	31,875	6,260	14,056	26,111	3,122	-	3,750	5,034,975
დეკემბერი 31, 2021	4,410,600	498,740	16,127	27,094	5,759	15,649	24,218	2,498	-	3,750	5,004,434

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად მელიქაძე

დირექტორი

2022 წლის 9 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

ზაზა კუჭუხიძე

ბუღალტერი

შენიშვნა 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორები	464,994	661,326
წინასწარი გადახდები	1,631	1,595
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	466,626	662,921

კომპანია სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას ჩამოწერს მაშინ, როდესაც გარკვეული ინფორმაცია მიანიშნებს დებიტორის მწვავე ფინანსურ სირთულეებზე და დავალიანების ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს, მაგალითად, როდესაც დებიტორული დავალიანება სამ წელზე მეტი ხნით ხდება გადაგადაცილებული, ანუ ძველი სტანდარტის მიხედვით იურიდიული გათავისუფლების პერიოდს ეწურება ვადა, როდესაც მიმდინარეობს დებიტორის ლიკვიდაცია, ან როდესაც დაწყებულია გაკოტრების საქმის წარმოება, რომელიც უფრო ადრე დადგება. ჩამოწერილი სავაჭრო დებიტორული დავალიანებიდან არცერთი არ ექვემდებარება იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს.

თითოეული დავალიანების გაუფასურების ანალიზი ინდივიდუალურად ხდება ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის. ანალიზები მოიცავს მომხმარებლებისგან მიღებული შემდგომი ფულადი სახსრების შემოწმებას.

შენიშვნა 7. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	414,387	734,025
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	414,387	734,025

შენიშვნა 8. მარაგები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული და მასალები	17,075	26,071
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1,118	1,118
სულ მარაგები	18,193	27,189

შენიშვნა 9. სხვა მიმდინარე აქტივები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
წინასწარ გადახდილი გადასახადები	42,213	32,052
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	387	465
სულ სხვა მიმდინარე აქტივები	42,600	32,517

შენიშვნა 10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	72,834	40,331
გადასახდელი ხელფასები	1,182	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	74,016	40,331

შენიშვნა 11. საიჯარო შემოსავლები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საიჯარო ქირა	2,093,374	1,301,269
საიჯარო ქირა (ელ.ენერგია)	339,050	177,007
საიჯარო ქირა (წყალი)	8,676	7,940
ავტოსადგომის მომსახურება	3,850	3,038
მოსაკრებელი	-	8,823
სულ საიჯარო შემოსავლები	2,444,951	1,498,077

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავაჭრო ცენტრი 2009“
 ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)
 შენიშვნა 12. ქონების ექსპლუატაციის ხარჯები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	632,713	511,976
ელ.ენერგია	400,083	215,795
დაცვის მომსახურება	212,237	212,237
წყალი და კანალიზაცია	40,949	43,773
ქონების მოვლა-პატრონობის ხარჯები	39,758	41,070
მოსაკ. დასახლ. ტერიტ. დასუფთავებისათვის	37,935	-
საგადასახადო ხარჯები	11,384	26,265
ჰიგიენური საშუალებების ხარჯი	9,296	-
საპენსიო დანარჩენები	7,645	5,983
საიჯარო ქირა.	4,200	3,900
საკანალიზაციო სისტემის გაწმენდა	4,000	508
ტერიტორიაზე სხვადასხვა ნიშნების დახაზვა	3,644	-
დამცავი და სადუზინფექციო საშუალებები	3,559	5,225
დეზინფექცია	3,051	8,136
ცეცხლსაქრობის გადამუხტვა	1,654	2,136
სულ ქონების ექსპლუატაციის ხარჯები	1,412,109	1,077,003

შენიშვნა 13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სამეურნეო საქონელი	25,381	32,409
საკანცელარიო ხარჯები	12,099	6,026
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	8,076	5,190
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	7,627	10,449
კომპიუტერის ხარჯები	4,073	4,356
კომუნიკაციის ხარჯები	2,288	4,631
სამედიცინო მედიკამენტები	1,937	3,253
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	61,481	66,315

შენიშვნა 14. სხვა ხარჯები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მომსახურების ხარჯები	28,118	13,698
მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	1,751	6,567
ჯარიმა საურავები	31,568	-
სულ სხვა ხარჯები	61,437	20,265

შენიშვნა 15. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მართვას (კაპიტალის გაზრდა/შემცირება) ახორციელებს 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო).

ხელმძღვანელობის წარმომადგენელი:

ზვიად მელიქიძე

დირექტორი

2022 წლის 9 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

11-22 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავაჭრო ცენტრი 2009“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(*ქართულ ლარში*)

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, როგორც საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელს გააჩნია კაპიტალში შენატანების გამხორციელების, კაპიტალიდან ქონების ამოღების და ბალანსზე აყვანის უფლებამოსილება.

შენიშვნა 16. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საოპერაციო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვალისწინებით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება. რათა აცილებული იქნეს თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუსაო მდგომარეობაში

ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში. ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებების მიმართებაში.

გ) ფასიან ქარალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისარები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გაგეგმვაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაში ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტის დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

	6 თვეზე ნაკლები	6-12 თვემდე	1-2 წლამდე	2 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	557,736				557,736
წინასწარ გადახდილი გადასახადები	50,840				-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	414,387				-
სულ ფინანსური აქტივები	1,022,962				414,387
ფინანსური ვალდებულებები					972,122
სავაჭრო ვალდებულებები	160,967				160,967
საგადასახადო ვალდებულებები	20,091				20,091

ხელმძღვანელობის ხელმოწერა:

ზვიად მელიქიძე

დირექტორი

2022 წლის 9 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

11-22 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავაჭრო ცენტრი 2009“

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

სულ ფინანსური აქტივები	181,058	-	-	-	181,058
ლიკვიდურობის სხვაობა	841,904	-	-	-	791,064
ლიკვიდურობის აკუმულირებული სხვაობა	841,904	841,904	841,904	841,904	

შენიშვნა 17. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიულ რეგულაციებზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ვალდებულებებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნევა მართებულიად.

შენიშვნა 18. საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

შენიშვნა 19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

- მხარეების, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშველი, შილობილი კომპანიები და თანამზრახველები) ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო – სწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო; c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი შიშობის მართვითი პერსონალი. ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელიც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების მშდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან გაცემული სახელფასო ხარჯები:

	2021	2020
მენეჯმენტის ანაზღაურება	57448	48387
სულ	57448	48387

შენიშვნა 20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

შენიშვნა 21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 09 სექტემბერს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად მელიქიძე

დირექტორი

2022 წლის 9 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

ზაზა კუჭუხიძე

ბუღალტერი

11-22 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.